№ 42 მთავრობის ცნობანი ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

საქართველოს რესპუბლიკა

შაბათი 2 მარტი. კვირა, 22 თებერვალი 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი გამოდის 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტროკონი 3 მ. 50 კ. ხე 4 გვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონის 1—82.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას, 22 თებერვალს ნაშუადღევის 12 ს. ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის თავს პანაშვიდი განსვენებულის

პროფესორ იოსებ ყიფშიძის

სულის მოსახსენებლად

307 1—1

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

კვირას, თებერვლის 22-ს, დილით

ჩერევიჩკი

საღამოს, რეჟისორ წუწუნავას სპექტაკლი „აბესალომი და ეთერი“. ორშაბათს, თებერვლის 23 ს „ჭირთა და კერძი“. ბალეტი სხვა და სხვა ერთა ცეკვა. სამშაბათს, თებერვლის 24 ს „როლანტა და ალეკო“. ოთხშაბათს, თებერვლის 25-ს „თქმულება შოთა რუსთველზე.

231

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით

კვირას, თებერვლის 22-ს რეჟისორ ა. წუწუნავას სპექტაკლი

აბესალომი და ეთერი

შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდა

აცხადებს ყველა მუშებს და ხელოსნებს, რომელთაც მიიღეს საიუბილეო წიგნაკები სახელმწიფო ფონდიდან სხვადასხვა ბილეტებით, რათა ყველა მიეგზავნონ ერთ-ერთ განსაზღვრულ ადგილას სალაპარაკო ბილეტების, კოოპერატივ „ღონძიების“, ოფიციერთა ეკონომიურ საზოგადოების, ქალაქის ხელოსნურთა ეკონომიურ საზოგადოების, ან უნდა შეიტყონ ჯერ-ჯერობით სანივთის პირდაპირ ცენტრალურ საწყობიდან მიიღებათ. ფორმა ჩასაწერი ნახსკვნისა მიიხედეთ თვით საგაჭროში.

3—3 224 მუშათა მაგიდის რწმუნებული.

რედაქციის განცხადება.

12 თებერვალი, 1920 წ. № 31.

განკარგულებანი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო განათლების მინისტრისა.

27 იანვარი, 1920 წ., № 26.

1. გუმბრელი იქნას 1911 წლის 11 ივლისის დამტკიცებული ყოფილ კავკასიის მუზეუმის და საჯარო ბიბლიოთეკის შენობის ხელმწიფებელი დროებითი კომისია და ამ კომისიის წევრთათვის სახელმძღვანელო ინსტრუქცია.

2. საქართველოს მუზეუმის შენობის და ხელმთავრებლად შედგეს ახალი დროებითი კომისია, რომლის თავმჯდომარეთ დაინიშნოს გიორგი ჟურული, ხოლო წევრებად: ტფილისის ქალაქის თავი ბ. ჩხიკვიშვილი, ტფ. უნივერსიტეტის პროფესორები ექვთ. თაყაიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, არქიტექტორი ჭალგინი, მუზეუმის დირექტორი ნოე ყიფიანი, შენობის ამგები ინჟინერი ნებრიძევი (სათათბირო ხმით), სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელი (სათათბირო ხმით) სახელმწიფო კონტროლერის დანიშვნით.

3. შედგეს სათანადო ინსტრუქცია ხელმძღვანელოდ.

ეთხოვოს კომისიის თავმჯდომარეს, გიორგი ჟურულს, ჩაიბაროს ყოფილი დროებითი კომისიისაგან სათანადო აქტის შედგენით ამ კომისიის საქმენი და საბუთები.

2 იანვარი, 1920 წ. № 27.

დაინიშნოს: ტფილისის პირველ საკომერციო სასწავლებლის მხრუნველ კომიტეტში სახალხო განათლების წარმომადგენლად მიხეილ თაყაიშვილი.

10 თებერვალი, 1920 წ. № 29.

დაინიშნოს: სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ივ. ჯავახიშვილი სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარედ 1920 წ. 1 თებერვლიდან.

11 თებერვალი, 1920 წ., № 30.

დაინიშნოს: სახალხო განათლების სამინისტროსთან დაარსებულ სასკოლო რეფორმის კომისიის თავმჯდომარედ საპედაგოგიო ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი დიმიტრი უზნაძე.

დანიშნულნი განთავისუფლებანი.

დატოვებულია შტატ გარეშე: სახალხო განათლების სამინისტროს კანცელარიის გაერთიანების გამო სამინისტროს ბუღალტრის თანამდებობის აღმასრულებელი სერგო იაკობის ძე აზარაპეტოვი მიმდინარე წლის პირველ იანვრიდან.

17 თებერვალი, 1920 წ., № 32.

დამტკიცებულია: ხაშურის ვაჭართა გიმნაზიის დირექტორად შალვა მხეიძე 1919 წ. 1 ნოემბრიდან.

17 თებერვალი, 1920 წ., № 33.

დაინიშნოს: გორის ვაჭართა გიმნაზიაში ბუნების მეცნიერების შტატს მასწავლებლად გიორგი დავითის ძე ამყოლაძე 1919 წლის 1 სექტემბრიდან.

17 თებერვალი, 1920 წ. № 34.

მიენიჭოს: ბრწინის საოსტატო სემინარიის მასწავლებელს სიმონ სამსონის ძე ჯუთათელაძეს საშუალო სკოლის მასწავლებლის წოდება რუსულ ენასა და ისტორიაში და დამტკიცდეს ამავე თანამდებობაზე 1920 წლის 1 იანვრიდან.

17 თებერვალი, 1920 წ. № 35.

მიენიჭოს: საოსტატო სემინარიის მასწავლებელს თევდორე თევდორეს ძეს ქორდანიას საშუალო სკოლის მასწავლებლის წოდება ფიზიკასა და ბუნების მეტყველებაში და დამტკიცდეს იმავე თანამდებობაზე 1920 წლის 1 იანვრიდან.

მინისტრის ამხანაგი ნ. ცინცაძე.

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

12 თებერვლის სხდომა.

დაესწრენ: მთავრობის თავმჯდომარე—ნოე ჟორდანია, მინისტრები—ბ-ნნი ხომერიკი, ლორთქიფანიძე, გვგეჭკორი, არსენიძე, ერაძე; მინისტრთა ამხანაგები—ბ-ნნი ჭიჭინაძე, ავალიანი, ცინცაძე, ქარცივაძე, გედევნიშვილი, ჭავჭანიძე; სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი—ბ-ნი ანდრონიკაშვილი; დეპარტამენტთა დირექტორები—ბ-ნნი ჭიჭინაძე, ალშიბაია; საქმეთა მმართველი—კ. ჯაფარიძე; მდივანი—დ. დიდებულიძე.

სამეცნიერო არქივის დაარსება.

მიღებულ იქნას ინიციატივა „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამეცნიერო არქივის დაარსების საკითხისა.

სესხი ოზურგეთს.

მიღებულ იქნას და დადგინდეს დამფუძნებელ კრებას მოხსენება და პროექტი დეკრეტისა ქ. ოზურგეთის თვითმართველობისთვის 300000 მ. მოკლევადიან სესხად მიცემისა ადგილობრივ ქალთა გიმნაზიისთვის შენობის შეძენათ და გადასაკეთებლათ.

შტატების დამტკიცება.

მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

ტფილისის უმაღლესთა სასწავლებლის, საქართველოს მუზეუმის, ფოთის საზღვაო სასწავლებლის და ტფილისის ფიზიკურ ობსერვატორიის შტატები.

ტფილისის ობსერვატორიის ხარჯები

მიღებულ იქნას განათლების მინისტრის მოხსენება ტფილისის ფიზიკურ ობსერვატორიის სამეცნიერო და სამეურნეო ხარჯების დასაფარავათ 495635 მან. გადადების შესახებ, ხარჯთ აღრიცხვითურთ და წარედგინოს დამფუძნებელ კრებას უწყების მიერ შესაფერი დეკრეტი.

6 თვიანი კურსები პირველ-დაწყებითი სკოლების მასწავლებელთათვის.

მიღებულ იქნას განათლების მინისტრის მოხსენება პირველ-დაწყებითი სკოლების მასწავლებელთათვის 6 თვიან კურსების დაარსებისა და ამ საჭიროებისათვის 240,000 მანეთის გადადების შესახებ და წარედგინოს დამფუძნებელ კრებას უწყების მიერ შესაფერი დეკრეტი.

საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორიის დებულება.

დამტკიცებულ იქნას განათლების უწყების მიერ შემუშავებული დებულება საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორიისა.

შეამდგომლობის დაკმაყოფილება.

დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს ათხოვოს „დედობისა და ბავშვთა დაცვის საზოგადოებას“ შინაგან საქმეთა სამინისტროს ავეჯულობის ის ნაწილი, რომელსაც სამინისტრო არ საჭიროებს.

შრომის სამინისტროში

შრომის სამინისტრომ თავის რწმუნებულებს შემდეგი მოწერილობა დაუგზავნა: თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებისა, ყოველივე წერილები შრომის სამინისტროს რწმუნებულებისა გაიგზავნება უმარკოდ, როგორც სახელმწიფო კორესპონდენცია, მხოლოდ უნდა იქნეს კონვერტზე დასმული შრომის სამინისტროს რწმუნებულის ბეჭედი და ამისათვის განსაკუთრებულ წიგნში შეტანილი ფოსტაში წარსადგენათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, წერილები უფასოთ არ გაიგზავნება.

დამფუძნებელი კრება

20 თებერვლის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

ივ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტისა დამფუძნებელ კრების არჩევნების დებულების დამატებისა მიწათ-მოქ. სამინისტროს დაწესებულებათა თანამდებობის პირთა ჯამაგირის ახალი ნორმების დეკრეტისა და ტყეებულის მცღაროების საავტო საზოგადოების „ნახშირას“ ქონების გამოყიდვის დეკრეტისა.

ი. ხალატიანის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი საერობო სამკურნალო დაწესებულებების ახალი შტატის დამტკიცების შესახებ.

დეკრეტი უცხოეთიდან შემოსატან საქონელზე საბაჟო ტარიფის შეცვლისა.

კ. ნინიძე (მომხსენებელი) აღნიშნავს, რომ არსებული საბაჟო ტარიფი საჭიროებდა გადასინჯვას. ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრომ წარმოადგინა პროექტი დეკრეტისა. პროექტის ძალით პირველ საჭიროების საგნებზე, ქსოვილთა სანოვაგეზე და სხვ. ბაჟები სრულიად გაუქმებულია, ხოლო ფუფუნების საგნებზე ბაჟები ძლიერ გადიდებულია, ყველა სხვა საქონელზე საშუალოთ გადიდებულია საბაჟო ტარიფი.

გრ. ვეშაპელი (ნაც.) აღნიშნავს, რომ ამ ტარიფიკაციის ნომერკლატურა რუსულია, რომელიც სრულებით არ შეეფერება ჩვენს მდგომარეობას. ორატორი მოითხოვს, რომ არ იქნას შეწოხიდული ისეთი სამეურნეო საქონელი, რომლის დამზადება ასე თუ ისე ჩვენში სწარმოებს, რომ გარედან შემოსულმა საქონელმა არ ჩაჰკლას ჩვენი წარმოება. აკრძალულ უნდა იქნას, ღვინისა და ხილეულობის შემოზიდვა, აკრძალულ უნდა იქნას აგრეთვე ფუფუნების საგნების შემოზიდვა.

კანდელაკი (ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრი) უპასუხებს ვეშაპელს და ამბობს, რომ უწყებას ტარიფ კაცის შედგენის დროს სახეში ჰქონდა მიღებული გარდამავალი მდგომარეობა, რომელიც მოითხოვს, რაც შეიძლება მეტი და იაფფასებში მიწოდებას მცხოვრებთათვის სურსათ-სანოვაგის, მედიკამენტების, ტექნიკური იარაღებისა და სხვ. ამ საგნებზე საბაჟო ტარიფი სრულიად გაუქმებულია. მეორე რიგში შეტანილია საშუალო მოხმარების საქონლები და მათზე გადასახადი ბაჟი ფულის კურსთან შეფარდებით გადიდებულია. მესამე რიგში კი ბოვქცეთ სხვა საქონლები, რომელთა ბაჟები გავადიდეთ 20—30 ჯერ. უკანასკნელ რიგში კი ფუფუნების საგნები მოვაქცეთ. ამ საგნებზე ისე ვსწყიეთ ბაჟები, რომ იშვიათად თუ შემოზიდვს მას სპეკულიანტი. მაგ. იმ საქონელზე, რომლის ბაჟი წინეთ 24 მან. იყო, ჩვენ ავსწიეთ 5000 მან.—32 მან. კი 10,000 მანეთამდე. ფუფუნების საგნების შემოზ დვის სრულიად აკრძალვა კი საერთაშორისო პირობების გამო ვერ დავინახეთ შესაძლებლათ. შემდეგ მინისტრი ეხება მეღვინეობას და ამბობს, რომ აღმოსავლეთიდან შემოტანილი ღვინო ჩვენთვის საშიშარი არ არის. შესაძლებელია ჩვენმა ხალხმა ადერბეიჯანიდან შემოტანილი ღვინო თვითონ იხარჯოს, ხოლო თავისი ღვინო, როგორც უკეთესი ხარისხის, საზღვარგარეთ გაიტანოს და იქ ჰყოს რეალიზაცია. ასე იქცეოდა დანია. იქ მოდის საუკეთესო ხარისხის ერბო. მაგრამ დანიელები თავის ერბოს არ ხმარობენ, ყიდიან, ხოლო თვითონ ხმარობენ ციმბირის ერბოს.

რაც შეეხება ნომენკლატურას, მართალია საჭიროა ტარიფიკაციის ჭართულად შედგენა, მაგრამ ეს ერთობ რთული საქმეა და ასე სახელდახელოთ ამის გაკეთება შეუძლებელია. ამ მხრით მუშაობა სწარმოებს და მომავალში ეს გვექნება.

დეკრეტს იცავს აგრეთვე **ი. ელიგულაშვილი,**

თავმჯდომარე. რის გარეშე განსახდებისათვის სიტყვა ეკუთვნის მთავრობის წარმომადგენელს.

ევგ. გეგეჭკორი. მთავრობის დავალებით აცხადებს იმ საბუჟარო ამბებს, რომელიც გორში და მის რაიონში გამოიწვია მიწის ძვრამ.

გრ. გიორგაძეს (ს.-დ.) წინადადება შეაქვს რომ პრეზიდიუმს დაევალოს გაგზავნოს დეპუტატებისაგან შემდგარი კომისია გორში და მის რაიონში ადგილობრივათ საქმის გამოსარკვევათ და სათანადო მასალების შესავსებათ. წინადადება უკამათოდ იქნა მიღებული.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ წარმოდგენილი დეკრეტი მუხლობრივ განხილულ იქნა და მიღებული.

ვ. თევზაიას მოხსენებით მიღებულ იქნა

ბროექტი დედგენილებისა სახელმწიფო ბანკის გამგის და გამგეობის წევრთა ჯამაგირის შესახებ არჩევნები გამგისა და საბჭოს წევრთა შემდეგისათვის გადაიდო.

გრ. ვეშაპელის მთავრობისადმი შეკითხვის შესახებ ილაპარაკა ს. დადიანმა, რომელმაც სიტყვა ვერ დათავა სიგვიანისა გამო.

მიწის ძვრის შედეგი გორში

გორიდან დაბრუნდენ შინაგან საქმეთა მინისტრის ახანაგი ნ. ჯ ჯ ნაძე და სამინისტროს ადმინისტრაციულ განყოფილების უფროსი ვ. მგალობლიშვილი, რომელნიც 20 თებერვალს დილით ადრე გაემგზავრენ გორში მიწის ძვრისაგან მომხდარ უბედურების ადგილობრივ გასაცნობად და სასწრაფო ზომების მისაღებათ.

გუშინ მივიღეთ ბარათი გორიდან ჩვენი სპეციალურ კორესპონდენტისაგან, რომელიც შემდეგს გვაუწყებს:

მოგზაურობა. კვთისხევიდან ვიდრე გორამდე რკინის გზის ლიანდაგი რამდენიმე ალაგას მოშვებული იყო, ზოგან რაოდენამდე დაზიან ბულიც. მატარებელი ნელა მიდიოდა. თითქის ყოველ ნაბიჯზე წინასწარ შინჯავდენ ლიანდაგს.

საერთო სურათი.

ჯერ ვიდრე მიუახლოვდება დაზარალებულ ადგილებს მატარებლიდანვე გრძნობს ადამიანი იმ დიდ უბედურებას, რომელიც ქ. გორის და მისი რაიონის მცხოვრებთ თავს დაატყდა მიწის ძვრის გამო. ალაგ-ალაგ ჩამონგრეული შენობები, შარა გზებზე, ქუჩებში და ლიანდაგზე ჯგუფ ჯგუფად გამოსული მცხოვრებნი, რომელნიც მიწის ძვრის გამორების მოლოდინს შიშით ველარ ბედავენ სახლებში დაბრუნებას, უნებურად იწუხარებას უნერგავენ მყურებელთ. მუშაობა ყველგან და ყოველგვარი შეწყვეტილია. ყველა სტიქიურ შიშს ხუტანია და არ იცის გადაურჩება, თუ არა განმეორებულ უბედურებას.

ვუახლოვდებით გორა და გამოჩნდა კიდეც აქა იქ დანგრეული სახლები.

ღამე 19 თებერვლისა.

მცხოვრებთა სიტყვით, 19 თებერვლს ღამე, დაახლოვებით 3 საათზე, საშინლათ იძრა მიწა, რასაც წინ უძღოდა ძლიერი ნიაღაგის გუგუნი.

ნანგრევები საკვირა ქვეშ მოყოლილ დახოცილ, დაჭრილ, დასახიჩრებულთა გვამებით.

აგერ ერთ ალაგას ნანგრევებს ქვეშ აწყვია რამდენიმე ათეული გვამი. მათ სახეზე თვით სიკვდილი, საშინელება და ჯ ჯ ხეთური ტანჯვა მეტყველებს. ზოგს თავი ღა უჩანს, ძლივს სუნთქავს და ტანი ნანგრევს მოუყოლია ქვეშ.

აგერ გდია დედის გვამი, რომელსაც გულს მიუკრავს ძუძუ წოვარი ბავშვი.

დახოცილთა და დასახიჩრებულთა რაოდენობა ჯერ გამორკვეული არ არის, მაგრამ დაითვლება ათასობით.

თვით განგების წყალობით გადარჩენილი ნაწილი გორია მცხოვრებთა გადის ქალაქიდან და ეფინება მინდორ-ველებს, სადაც ცის ქვეშ ბინავდებიან. საჭ ელ-საკვები და სუ ა თი ერთიან ნანგრევებ ქვეშ დაიღუპა. ლუკმა პური არავის აქვს.

მაგრამ ხალხს კიდევ ეშინია მიწის ძვრის განმეორებისა.

გორის ახლო-მახლო.

გორის რაიონში განადგურებულია აგრეთვე 20 ყველა სოფლები: ხიდისთავი, დუისი, ბე ეთი და სხვა. კავთისხევიდან სკრამდე დანგრეულ განადგ ებულია ყველა სადგურები და სოფლები.

დაინგრა სხვათა შორის გორის ჯვარის მთა სრულიად და ერთ ალაგას დედამიწიდან ბოლო ამოვარდნილა. ერთი გორაკი შუაზე გამსკდარა და ნახევარი ორღავ წინ წამოწეულა.

გორის ზემოთ ერთ ალაგას გოგირდის ცხელი წყარო გამოჩ ნილა.

გორის მაზრის სხვა ადგილებში მიწის ძვრა გაცილებით სუ ტი ყოფილა.

—

დამფუძნებელ კრების კომისია, რომელიც გორს გაემგზავრა, კავთისხევში გაჩერდა, რადგან იმის იქით მგზავრობა საშიშარი შეიქნა გზის ღვრგისობის გამო.

დახმარება გორს.

(ვენერალური შტაბიდან)

სამხედრო სამინისტრომ მიწის ძვრიდან მოხდარ უბედურების შესახებ ცნობის მიღებისთანავე დაუყონებლივ გაგზავნა გორში 600 კაცის შეადგენლობით მესანგრეთა ათასეული მთელი მოწყობილებით დანგრეულ შენობებთა შესაკეთებლად, სანიტარული მატარებელი სრული პერსონალით დაშავებულთა დახმარების აღმოსაჩენათ; აგრეთვე გაიგზავნა იურტები და კარავები უბინოთ დარჩენილთათვის, აამუშავა ყველა სამხედრო პურის საცხობები და გამომცხვარი პური თანთანობით გზავნება მცხოვრებლებს და გასცა განკარგულება, რომ ტფილისის სამხედრო გოსპიტალმა ყველა დაშავებულები და ავადმყოფები, რომლებიც გამოგზავნილ იქნებიან, გორიდან, მიიღოს სამკურნალოთ სრულიად უფასოთ.

უვნებლად გადარჩენილა ქალაქის თვითმართველობის შენობა, სადაც შუადღისას გამართა თათბირი შინ. საქმ. მინისტრის ამხ ნ. ნ. ჯ ჯ ნაძის მონაწილეობით. შემუშავებულ იქნა ასაწრაფო ზომები. უბინაოთ დარჩენილი მცხოვრებნი მოათავსეს გადარჩენილ საზოგადო და კერძო შენობებში და შეუდგენ დაზიანებულ ადგილების დათვალიერებას. იმ დროს როდესაც მინისტრის ამხანაგი ხვებთან ერთად ის იყო ხაზინის შენობიდან გამოვიდენ დაახლოვებით სამ საათზე ერთბაშათ იქვე ძრა საშინლად მიწა და დაიწყო სახლების ნგრევა. კედლები მთლიანად იქცეოდა დედამიწაზე, შუაზე სკდებოდა მთელი სახლები. ასტყდა თავზარდაცემულ ხალხის ღრიალი, კვნესა, ვედრება, ტირილი. ჯგუფ ჯგუფად ხან აქეთ ეცემიან, ხან იქით. უმწეობა განუსაზღრელია.

მეორე მესინა

გადაიარა ნგრევის ტალღ მ და გამოჩნდა უბედურების ფ კრი:

არც ერთი მთელი შენობა აღარ მოჩანს, გორის ციხე მოინკრა და ნანგრევ-ნატეხები და ქვები დაეშვა გორაკის ფერდობებზე და აქცევს დაბლა ისედაც დანგრეულ სახლებს.

ქალაქის თვითმართველობის შენობა, სადაც სულ რაოდენიმე ხანის წინათ თათბირი იყო დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენათ, თვით გახდა ულმობელ საშინელ სტიქიის ანაწერა.

მოისპო მთელი ქალაქი... დარჩა მხოლოთ მოგონება—მოგონება მწარე, და დამაღონებელი...

20 თებერვალს მიწის ძვრა გაცილებით უფრო ძლიერი იყო თავის შედეგებით და სიძლიერით, ვიდრე წინა ღამეს.

აღარ არის ქალაქი,—არის ხშოლოთ ნანგრევები, რომელმაც ქვეშ მოიყოლია ცხოვრება—ხალხი.

მთავრობის მიმართვა.

საქართველოს ნორჩ რესპუბლიკას თავს დატყდა დიდი უბედურება. ამ თვის 20 ს მიწის ძვრამ ერთიანად დაანგრია ქ. გორი და მის ახლო მდებარე სოფლები და ყრკინის გზის სადგურები. ათასობით და ათიათასობით ხალხი ქუჩაში დარჩა უბინოდ და უმწეოდ შაშველნი და მშიერ მწყურვალნი. მრავალნი სახლების ნანგრევებმა იმსხვერპლა. ნივთიერი ზარალი აღრიცხვეელია. მოგიწოდებთ თქვენ, ხხარში ამოღუ ოგეთ მთავრობას ამ დიდი უბედურების გადატანაში. მიიღეთ ზომები, რომ მთელმა ხალხმა დახმარება გაუწიოს ჭარ თლის უძკელეს ქალაქს—გორს და დანგრეულ სოფლებს ფერფლიდან აღდგენისათვის, რომ ისინი არ წარიშალონ საქართველოს მკერდიდან. მთავრობის დახმარება წვეთია გაჭირვების ზღვაში. საჭიროა მთელი ხალხის დახმარება, მთელი ერის ამოძრავება დაწვილის გაღება უმწეო მოძ ეთათვის. დაუყონებლად ცოცხლთ ხალხს და შეუდექით „გორის ფონდის“ შეგროვებას. გორი უნდ აღსდგეს და კვლავ ქართლის გულათ გახდეს.

მთავრობის თავმჯდომარე

ნ. ჟორდანია.

მოწოდება.

საშინელი დ ამოულოდნელი უბედურება დაატყდა თავს ჩვენს რესპუბლიკას: მიწის ძვრამ გაანადგურა გორი, ხიდისთავი, სკრა და ბევრი სხვა სოფლ ატენის ხეობაში. მრავალი ოჯახის მარჩენალი ნანგრევებში დაიმარხა; სხვები შიშველი და მშიერი ცისქვეს დარჩენ ამ დიდ ზამთარში.

ამათაც დაღუპვა მოელის, თუ არ დავეხმარეთ.

წარმოიდგინეთ განადგურებული ქალაქი და სოფლები, დაქცეული სახლები, დახოცილი და დასახიჩრებულნი, უახლკაროთ და ჩვილი და თავზარდაცემული, ხალხი, ქლებისა და ბავშვების გამწარებული ტირილი და მაშინ საკუთარი გული ეტყვის ყოველ თქვენგანს, თუ რა უნდა გავაკეთოთ:

ჩვენ უნდა მოვიხადოთ ჩვენი ადამიანური მოვალეობრივი ვალი გაუბედურებულთა მიმძლებისადმი.

ჩვენ უნდა შევუსუბუქოთ მათ ტკივილები და ტანჯვა, ვინც ეშით ასეთ მ ეხარებაში.

ჩვენ უნდა მოვუწინდოთ მათ ცრემლები და საქმით დავუმტკიცოთ, რომ ყოველგვარ ჭირში მათთან ვართ.

წარმოიდგინეთ ერთ წამს თქვენი თავი იმათ ალაგას, თქვენი ბავშვები, თქვ ნი ძმები, დედ-მამა,—თქვენ ხომ იმათთვის არ დაიშურებთ არაფერს.

ის უბედურებიც ჩვენი სისხლ-ხორცია, ჩვენი ახლობელი, ჩვენი მოქალაქენი,—დავეხმაროთ მათ, ვაგრძნობინოთ, რომ ძნელი უბედურების დროს ისინი უმწეონი, უპატრონონი არ არიან.

ვიდვათ ყველამ თავს მათი პატრონობა, მათი შველა.

თუ დახმარება არ იქნა უხვი, ერთსულოვანი და სწრაფი, ცივი ზამთარი მათ მუსრს გაავლებს.

მაშინ სადღა უნდა გავმოყოთ თავი.

ნუ შევარცხვენთ ნორჩ დემოკრატიულ რესპუბლიკას; ეროვნული უბედურების დროს განსაკუთრებით გვმართებს რესპუბლიკის ღირსების დაცვა და მოქალაქის სახელის ამაყად ტარება.

ჩვენი მთავრობის თავჯდომარის წინადადებით უკვე შესდგა საზოგადო დამხმარე კომიტეტი, რომელიც ღებულობს ყოველგვარ შემოწირულებას. ასეთივე კომიტეტები უნდა დაარსდეს პროვინციის ყოველ ქალაქსა, დაბასა და დიდ სოფლებში. ეს არის ერთნული უბედურება და მთელი საქართველო უნდა დადგეს ფეხზე.

პოეტებმა, მწერლებმა, ხელოვნების ყოველმა მსახურმა, საზოგადო და კულტურულმა დაწესებულებებმა, თეატრებმა, კლუბებმა, სინემატოგრაფებმა—ყველამ უნდა გაიხადოს თავის წმინდა მოვალეობათ მიწის ძვრის მსხვერპლთა დახმარება.

დავმტკიცოთ ყველ მ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ჭარი და ლხინი ერთა გვაქვს.

დავუმტკიცოთ ქვეყანას, რომ ყოველი მოქალაქის უბედურება ჩვენი საკუთარი უბედურებაა.

მიწის ძვრის მსხვერპლთა დამხმარე

მთავარი კომიტეტი.

ფიზიკურ ობსერვატ. ცნობა

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

ტფილისის ფიზიკურ ობსერვატორიის ცნობით ღამით 19—20 თებერვალს ტფილისში საკმაოდ ძლიერი მიწის ძვრა იყო. პირველ სუსტ გაქანებას მოჰყვა მეორე ძლიერი. მეორე გაქანების მომენტი აღნიშნულია 3 საათსა და ერთ წუთსა—22—27 წამზე. 20 თებერვ. დღის 2 საათისა 44 წუთსა და 56 წამს მოხდა მიწის ძვრა უფრო სუსტი. 20—21 თებერ. ღამის 12 საათსა და 15 წუთზე მეორე სუსტი ძვრა მოხდა. 21 თებერ. დილის 11 საათამდე ძვრა არ შეჩერებულა. 3 რველი ძვრა 3 საათსა და 1 წუთ 22—27 წუთს ობსერვატორიამ აღნიშნა პრუსი ფორტის სკოლის ნიშნით 20 თებერ. 2 საათისა 44 წუთსა და 56 წამ. მომხდარი ძვრა აღნიშნულია იმავე სკოსილ სამ ოთხ ნიშნით ძვრის მიმართულება: პირველი ძვრა 3 საათსა 1 წუთსა და 22—27 წამს იყო ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ, მეორე ძვრა (დღე 20 თ.) 2 საათისთვის 43 წუთს და 56 წამზე მოხდა. სამხრეთ დასავლეთიდან ჩრდილოეთ აღმოსავლეთისაკენ. 20 თებერვლს გაერცელებული ხმები თითქოს 21 თებერვალს ობსერვატორიაში 3 საათზე ახალ მიწის ძვრას მოელოდა, სიმართლეს არ შეეფერება. ყოველივე შეკითხვაზე ამ ხმების შესახებ ობსერვატორია უარყოფით პასუხს იძლეოდა. მიწის ძვრის განმეორების შესაძლებლობის შესახებ ობსერვატორია იუწყება, რომ ამ მხრივ არავითარი წინასწარმეტყველება არ შეიძლება, რადგან ამ ჟამად მეცნიერებას არავითარი საშუალება არა აქვს ამ მიზნისათვის. შეიძლება ხშოლოდ აღვნიშნოთ. მიწის ძვრის სტატისტიკას ნიშნავს, რომ ძლიერ ძვრას უმეტეს ნაწილათ მოჰყვება მთელი რიგი თანდათანობით განელებული და რომელიმე წინა დროსთან შეკავშირებული ძვრა.

დენიკინი და საქართველო.

ეკატერინოდარის „კაზაჩია დუმის“ მე-18 ნომერში მოთავსებულია გენ. დენიკინის შემდეგი დეპეშა ჯარების ღენერალების გენ. ერდელისა და ლუკომსკისადმი;

„16 იანვარს სრულიად უმიზეზოდ რუსების მხრით, ქართველები მწვანე არმიელებთან ერთად შეტევაზე გადმოვიდენ ჩვენს წინაალმდეგ სოჩის მიმართულებით. შემოტევა დღემდე გრძელდება, რაც დახმარებაა ბოლშევიკებისათვის. ამიტომ საჭიროა შეწყვეტილ იქნას ყოველგვარი კავშირი საქართველოსთან და გმძვებულ იქნას ყველა მისი ოფიციალური წარმომადგენლები სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა ტერიტორიიდან. შავი ზღვის ფლოტს კი ებრძანოს მიადგეს საქართველოს სანაპიროებს და დაიწყოს სანბედრო მოქმედება“.

ტიხორეცკაია, 20 იანვარი.

„კაზაჩი დუმა“ სწერს:

„საქართველოს შემოტევის შესახებ ბრიტანეთის სამხედრო მისიის ავტორიტეტული წრეები ირწმუნებიან, რომ სოჭის დაკავება არ არის საქართველოს რეგულიარული ჯარის ნაწილების საქმე, არამედ—ეს ქართველი ყაჩაღთა ბრბოების ან „მწვანე არმიელების“ საქმეა.

როგორც ვიცით, სოჭი ინგლისელების საქმეში ჩარევით საქართველოს გავლენის გარეშე დარჩა.

უკეთუ საქართველო ოფიციალურად დაიკავებდა სოჭს, ეს გამოიწვევდა მოკავშირე სახელმწიფოების არა-კეთილ დამოკიდებულებას მისდამი, რომელთაც აღიარეს საქართველოს მთავრობის დამოუკიდებლობა (და არა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა).

საქართველო უნდა აფასებდეს ინგლისის ამგვარ კეთილგანწყობილებას მისდამი, ამიტომ მან ანგარიში უნდა გაუწიოს როგორც მოხალისეთა ჯარს, აგრეთვე ანტანტას“.

მეთაური წერილში გაზეთი ეხება „საქართველოსთან ომს“ და სხვათა შორის სწერს: „აზიურ ფანდს ასეთ შემთხვევაში არავითარი ღნიშვნელობა არ უნდა მიეცეს. უკეთუ იქნება ამ საგანზე საქართველოსთან დიპლომატიური ნოტების გაცვლა. ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რა როლი შეასრულა ადერბეიჯანმა დღეტანის აჯანყების საქმეში, თუმცა ის ოფიციალურად არ გამოსულა“.

შემდგ გაზეთი ამტკიცებს, რომ საქართველოს კავშირი აქვს ოსმალეთთან, და ორივეს კი ბოლშევიკებთან მაგრამ „ამ ფაქტის ღიად ტკიცება, იმისი გამოძიება, თუ რამდენათ არიან ოსმალები და ქართველები ბოლშევიკების მოკავშირენი, უნაყოფო საქმე იქნებოდა და ამ საგანზე გამართული მოლაპარაკება უბრალოდ დროს დაკარგვა“.

ბოლოს გაზეთი იმედს გამოსთქვამს, რომ დობარმიის მოკავშირე სახელმწიფოები არ გასწევენ უნაყოფო დიპლომატიურ მოლაპარაკებას და მიიღებენ გადამწყვეტ ზომებს, რისთვისაც მათ მოეპოვებათ საკმაო ძალა.

ბათუმის გარშემო

ბათომიდან იუწყებიან, რომ ბათომიდან ინგლისის ჯარის წასვლის გამო ოლქში გაძლიერდა ოსმალეთის იმპერიალიზმის აგენტების მოქმედება. ოლქში გაჩნდნენ ოსმალთა ჩეტნიკები, რომელნიც ბოლშევიკების პროპაგანდისტებთან ერთად მუშაობენ და აწარმოებენ საქართველოს საწინააღმდეგოთ სასტიკ პროპაგანდას. დაფენებით დადის ხმები ბათომის სამხრეთ სხზღარზე თავმოყრილია ოსმალთა ჯარი. ოლქის მცხოვრებნი შეშფოთებულნი არიან, რომელთაც ჯერ არ დაჰვიწყებია ის სიმხეცენი, რომელნიც არა ერთხელ ჩაუდენიათ ოსმალებს, მაგრამ ოსმალთა ემისრები ხალხში მოქმედებენ ფუჭერით და დაშინებით. საჭიროა სასწრაფო ზომები.

ერობა

ქუთაისის სამაზრო ერობაში.

შესდგა ქუთაისის მაზრის სათემო ერობის გამგეობათა და ხელისუფალთა წარმომადგენლების ყრილობა. პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ უყრილობა შეუდგა ადგილებიდან ძოხსენებების მოსმენას, გომის სათემო ერობიდან მოხსენებას აკეთებს ამ ერობის გამგეობის თავმჯდომარე მახრიკაძე, ის მოახსენებს ყრილობას, რომ თემმა შესდგა წარსულ წლის ივლისში, ხალხი ამ დაწესებულებას პირველად ვერ იცნობდა—თემი არსებობდა, მაგრამ გამგეობას არავინ ეკარებოდა საქმეების მოსაგვარებლათ. შემდეგ ადგილობრივი მცხოვრებლები თანდათან შეეჩვენ მას. მათ იგრძნეს რომ ალარ არის საჭირო ყოველივე უბრალო საკითხების მოსაგვარებლათ შორს წასვლა. მათ, დაინახეს, რომ ადგილობრივ ყავთ მათ პატრონი, რომელიც ცდილობს და ზრუნავს მათ კეთილდღეობაზე. ამ ჟამად კი ადგილობრივი მკვდრნი ყოველივე საქმეზე სათემო ერობას მიმართავს და გამგეობაც შეძლების და გვარად მათ დახმარებას უწევს, სათემო გამგეობის

ობას ძალიან ცუდი შემკვიდრეობა დარჩა-ყოველივე საქმეები აწეწილ-დაწეწილი იყო და საჭირო იყო ყოველივე დარგში გამუდმებული ენერგიული მუშაობა. იმისთვის რომ ასე თუ ისე იგი სისტემაში მოეყვანათ: გამგეობა პირველ ყოვლისა შეეცადა ადმინისტრატიულ აპარატის მოწყობას. ამ ბრივ მათ დაბრკოლებების გადალახვა შესძლეს და ამ ჟამად ადმინისტრ. აპარატი საშუალოთ მაინც მოწყობილია. ამის შემდეგ გამგეობამ მიზნათ დაისახა სკოლების მოწესრიგება. გამგეობის შედგენამდის საზოგადოებაში სულ ორი სკოლა იყო. სამაზრო ერობის ენერგიული დახმარებით მათ შეძლეს სკოლების გამრავლება თემში. თემში შედის 13 სოფელი და იქ 7 სკოლა არსებობს. ასე რომ ზოგ სოფელში ორი თუ სამი ბავშვი არის სკოლას გარეთ, თორემ სულ ყველა ბავშვები სწავლობენ. ამ გვარად მათ თითქმის განხორციელეს თემში საყოველთაო წვლა. მართალია სკოლები იდეალურათ არ არის მოწყობილი, მაგრამ საფუძველი ამ საქმისა სამუდამოთ ჩაყრილია. 1915 წლიდან ამ თემში სოკ ავით იწყო გავრცელება კოოპერატივებმა. ხ ლს ის მაინც და მაინც არ მოსწონს და ამის მიზეზებიც არის. საერთოდ არც ერთი კოოპერატივი არ სდგას თავისს სიმაღლეზე და ზოგში ფულების გაფლანგვასაც ჰქონდა ადგილი. ხანდახან გამგეობას უხდებოდა მსაჯულის როლში გამოსვლა, ეს ხდებოდა იმიტომ რომ გამგეობა დაინტერესებული იყო ხალხისთვის ზედმეტი ხარჯები თავიდან აეცილებიათ და საქმეც სასწრაფოდ მოეგვარებიათ. მართალია, ამის უფლება იურიდიულათ გამგეობას არ ჰქონდა, მაგრამ თუ ხანდახან დრო გამოშვებით ასე ხდებოდა ეს იმიტომ, რომ გარდა მოხსენებულ მიზეზებისა გამგეობა ხელმძღვანელობდა ერთი პრინციპით: დაეკვათ თემში საერთო წესიერება. ადმინისტრატიული აპარატის კარგად მოწყობამ და გამგეობის ენერგიულმა ბრძოლამ ქურდობის წინააღმდეგ თავისი შედეგები გამოიღო. უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში სულ ორი მაგალითი იყო არა თვალსაჩინო ქურდობისა. სხვა დარგში თემის გამგეობას თითქმის არაფერი არ გაუკეთებია. ამის მიზეზები იყო ერთის ხრით საერთო გამოუცდელობა და მეორეს მხრით ეკონომიური საშინელი სისუსტე. სხვათა შორის გამგეობას 5 თვის განმავლობაში არაფერი ჯილდო არ მიუღია და ხალხიც საერთოდ ღარიბია და ეკონომიურად ჩამორჩენილიც. მაგალითად თუ უწინ თემს სიმინდი არ აკლდებოდა ამ ჟამად 20% მცხოვრებლებისა სიმინდს ყიდულობს და მარტიდან ალბათ ნახევარსაც ალარ ექნება სიმინდი.

გვაშტიბის თემიდან მოხსენებას აკეთებს—გამგ. თავმჯდომარე ნ. ქუთათელაძე. გამგეობა შესდგა წარსულ წლის 17 ივლისს. ეს თემი ქუთაისის მაზრაში ერთი მივარდნილი ადგილთაგანი იყო. სკოლები თითქმის არ არსებობდა. ხალხიც კულტურულად ჩამორჩენილია. საერთო აღმშენებლობითი მუშაობას ხელი შეუშალა გადასახადების აკრებამ, რადგანაც გადასახადებმა შექმნა ხალხში პროვოკატორები; მიუხედავათ ამისა ყველა გადასახადები აკრებილია. სკოლები სამაზრო ერობის მიერ და ჩვენი დახმარებითაც თემში მრავლდება და აღმშენებლობითი მუშაობას საფუძველი ეყრება. (ხომხსენებელმა ავადყოფობის გამო მოხსენება ვერ დაათავა).

ზეკრის თემიდან მოხსენებელმა ნატრიაშვილმა განაცხადა, რომ თემი შესდგა მიმდინარე წლის 25 იანვარს და ჯერ მხოლოდ რამოდენიმე დღეა, რაც მუშაობას შეუდგაო.

კულაშის თემიდან მოხსენებელია ამ თემის გამგ. თავმჯდომარე ფოცხვერია. თემი შესდგა წარსულ წლის 6 ივლისს. თემის მცხოვრებნი ძალიან სიმპატიურათ ეპყრობა სათემო საერობო გამგეობას. მას ისინი ყოველგვარ დახმარებას უწევენ საერთო საქმეში, გზები კეთდება, გადასახადებს დაუბრკოლებლად იხდიან. აგრარული რეფორმა უმტკივნეულოდ ტარდება, თითქმის ადგილების გაყიდვას შინაურული წესითი ადგილი აქვს, ბოლშევიკურ გამოსვლებს ადგილი ქონდა წარს. წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში, მაგრამ ამ ჟამად სრული სიწყნარეა, მიწის სინაკლულის გამო თემიდან გადასახლების საკითხი არ დგას.

კუბის თემი—მოხსენებელია თემის გამგ. თავმჯდომარე ვ. ყუფარაძე. გამგეობის უმთავრესი ყურადღება სკოლებზე იყო მიქცეული. სკოლები ამ ჟამად თემში სრულიად საკმაოა. საყოველთაო სწავლა დაწყებულია. 8—10 წლამდე ყველა ბავშვები სასწავლებელში არიან. სკოლები შიგნით სათანადოთ ვერ არის ჯერჯერობით მოწყობილი. აგრარული რეფორმით მცხოვრებნი თავიდანვე დაინტერესებული იყვენ. მიწების აწერაში თვით მცხოვრებლებმა მიიღეს მონაწილეობა ახლახან ჩამოვიდა თემში საგარო კომისია. მიწის სინაკლულის გამო გადასახლება არავის სურს.

მანდიკორის თემი—მომხსენებელია ივლ. მერკვილაძე, სამი თვეა, რაც გამგეობამ მუშაობა დაიწყო. ზოგები იქნა მიღებული დეზერტირების წინააღმდეგ. გადასახადების აკრება თანდათან ადვილი ხდება, პირველად ხალხი წინააღმდეგი იყო გადახდისა—ამის მიზეზი იყო ის, რომ უსწორმასწორად გაწერა თითქო ხარჯთ გამწერმა ინსპექტორმა გადასახადი: ეს საქმე ირკვევა. აგრარული კომისია ჯერ თემში არ მისულა. თემში არსებობს 6 სკოლა—ხალხს მათი შენახვა უჭირს და მოითხოვს დახმარებას. საექიმო პუნქტი არსებობდა, მაგრამ სამაზრო ერობის გამგეობამ ის მოხსნა.

სამაზრო ერობის გამგ. წევრი მ. გავაშელი აძლევს ყრილობას განმარტებას იმის შესახებ, თუ რატომ იქნა მოხსნილი მანდიკორში საექიმო პუნქტი. განმარტებიდან ირკვევა, რომ მანდიკორში ყოფნისას საექიმო პუნქტში მოდიოდა ძალიან ცოტა ავადმყოფი (დღეში ხან სულ არა ხან საშუალოთ 4—5 ავადმყოფი) ამიტომ სამაზრო ერობის გამგეობამ უფრო მიზანშეწონილათ დაინახა გადაეტანა პუნქტი ისეთ ადგილას, სადაც მთელ რაიონს შეძლება ექნებოდა ესარგებლებია, ამიტომ პუნქტი გადატანილ იქნა ბრესილში.

ნახახულევის თემიდან მოხსენებას აკეთებს თემის გამგ. თავმჯდომარე ი. კვინჩია. სათემო ერობის არჩევნები მოხდა წარსულ წლის 12 ივლისს. უმთავრესი ყურადღება თავიდანვე მიქცეული იყო გზებზე. ბევრი შეკეთდა—ბევრიც შესაკეთებელია. მაგრამ ამ ჟამად მუშაობას ხელს უშლის გამუდმებული წვიმები. თემი შესდგება 6 სოფლიდან და 7 სკოლა არის დაარსებული. ბავშვები 7 წლ. 12 წლამდე ყველანი სწავლობენ. შიგნით მოწყობილი ვერ არის კარგად სკოლები ჯერჯერობით. საექიმო დახმარებას თემი მოკლებულია. არის ხოლოდ ერთი ფერშალი. თემი სარგებლობს ქ. ხონის ექიმებით, რომლის მოწვევა ჯდება არა ნაკლებ 500 მანეთისა. ქურდობა გავრცელებულია. თემი საზღვრავს სამეგრელოს,—ეს ხელს უწყობს ქურდობას. ბრძოლა მათ წინააღმდეგ სწარმოებს, მაგრამ რადიკალური ზომები ჯერჯერობით არ გამონახულა. არხები ზოგი გაყვანილია, ზოგი გაყვა. მოსავალი ცუდი იყო. მარტის უკანასკნელ რიცხვებში დიდ უმეტესობას სიმინდი საყიდი ექნება. აგრარული რეფორმის განხორციელება არ დამთავრებულა. ამ ჟამად მუშაობას ხელს უშლის ზამთარი.

თემის ხმოსანი ჩარგიშვილი ლაპარაკობს, რომ ხმოსნებსა და გამგეობას შორის არის უთანხმოება, რაც ხელს უშლის როგორც გამგეობის ისე ხმოსანთა ყრილობის მუშაობას.

ობჩის თემის გამგეობის წევრი ბიხ. ბურჭულანაძე მოახსენებს ყრილობას, რომ თავიდანვე დიდი ყურადღება იყო მიქცეული სკოლებზე ტ. გზებზე სკოლები არც ისე მცირეა არის თემში, მაგრამ მოწყობილი თითქმის ძალიან ცოტაა, მაინც საჭიროა სკოლების მიმატება, რადგან ყველა ბავშვები სკოლაში ჯერ არ არიან. გადასახადები ამ თემში ყველა სხვა თემებზე უწინ შეიკრიბა. აგრარული რეფორმა ტარდება. ხალხის სულიერი განწყობილება სავსებით დამაკმაყოფილებელია.

(შემდეგი იქნება)

კულტურული მუშაობა ჯარში

კულტურულმა მუშაობამ ჯარში პირველი ადგილი დაიკავა და ეს რასაკვირველია ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ამ მუშაობის საშუალებით შეგნებული ჯარი გაორკეცებული ენერგიით შესძლებს ღირსეულად დაიცვას ჩვენი დემოკრატიის ინტერესები. ჯარში ამ მუშაობის მოთავეებმა ბ. ბ. პოლკოვნიკმა ტ. ართმელაძემ და ალ. ჟორჟოლიანმა საქმეებით შესძლეს ამ მუშაობის მტკიცე ნიადაგზე დაყენება. ტფილისში მდგომ სამხედრო ნაწილებში დღეს თითქმის ყველგანაა მოწყობილი სათეატრო და ჯ. კ. უნივერსიტეტების დარბაზები, იკითხება ლექციები და სხვა. მაგრამ არა ნაკლებ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ჩვენი დემოკრატიის დამცველი ძალები, როგორიცაა ჯარი და გვარდია ხშირად ერთად თავს იყრის და კულტურულ ცხოვრების სიტკბოებას ერთად იზიარებენ. მათთვის სახელმწიფო თეატრში ხშირად იდგმება ხოლმე წარმოდგენები და ოპერები, რომლებიც დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს დამსწრე მხედრებზე. 15 თებერვალს, დილის 11 ს. სახელმწიფო თეატრში სამხედრო სამინისტროს კულტურულ-განმანათლებელ სექციის ინიციატივით დაიდგა ოპერა: „ქეთო და კოტე", რომელსაც აუარებელი ჯარის კაცნი და გვარდიელნი დაესწრო. დასაწყისში ოპერას შესაფერისი განმარტება უძღვნა სახაზინო თეატრის დირექტორმა ბ. ალ. წუწუნ ვამ. ოპერას დაესწრო ქ. ტფილისში მდგომი ყველა ნაწილები, როგორც არის: მეხუთე და მეშვიდე ათასეულები, საარტილერიო დივიზიონი ნაცვლათა სკოლის ჯარისკაცნი, სამხ. სამინისტროს წყობა გარეშე გუნდი, რადიო ტელეგრაფის და საავტომობილო გუნდები, საავიაციო და სანიპარო რაზმები და სხვა. ზემოხსენებულ ოპერას დაესწრენ გარეთვე კულტურულ-განმანათლებელ საქმეების მომუშავენი ჯარში და გვარდიაში. საერთოთ უნდა ითქვას, რომ ოპერამ მხიარულად და კარგათ ჩაიარა და კარგი შთაბეჭდილებაც დასტოვა დამსწრე ხედრებზე.

ალე.

გათუმელი შავრაზმელები.

სოხუმის „ნაშე სლოვო" ში გრ. აილო „ბათუმის შთაბეჭდილებებში", სხვათა შორის შემდეგსა სწერს:

ტფილისიდან გაძევებული სპეკულიანტები და სხვანი ბათუმში იმყოფებიან. ისინი ზიზღით არიან აღსილნი საქართველოსადმი და დღუ დღეზე მოელიან, როცა დაშყვლილ ქართველებს მოსთეთქვენ, მათთვის სულ ერთია ვინც უნდა დაიპყროს საქართველო—დენიკინი იქნება, ის თუ ბალშევიკები.

ოღონდ კი ვინმემ დაიპყროს საქართველო და ჩვენც მას შევეგუებითო,—ასე მსჯელობს ის ხალხი.

საქართველოსადმი სიძულვილმა ეს ხალხი ინტერნაციონალურათ შეათანხმა.

შემდეგ გ. აილო ჩამოთვლის, თუ როგორ აწყობდნენ დენიკინელები ბათუმში ახლო წარსულში მებრძოლ რაზმებს და დასძენს:

„ყველაფერი ეს გაჭრა. ახლა არა თუ მოხალისეები, რუსული სამხედრო ფორმითაც ვერავის შეხვდებით დენიკინელთა გაზეთი „ნაშ კრაი" სულს ღაფავს, გვარდიელს ყურადსაღებ საკითხებს და ამ გაზეთის მოუსვენარი რედაქტორი ბონი ფრანჩესკი სასტიკ რეგისტრაციას აწარმოებს მხოლოდ ბათუმში შემოსული და გასული გემებისას".

სასამართლო

სია

გორის ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობისა თებერვლის თვის 1920 წ. სესიაში დანიშნულ გასარჩევად საქმეებისა.

19 თებერვალს, 1920 წ.

აპელაციური საჩივარი მარიამ ნოზაძისა გომის უბნის მოსამართლის 22 ოქტომბრის 1919 წ. დადგენილებაზე მაგდანა ბადრიშვილის მიერ მასთან მეოთხედი ბოსლის ნაწილის ძიების შესახებ საქ. № 18.

აპელაციური საჩივარი ალექსი გიორგის ძე რომელაშვილისა ცხინვალის უბნის მოსამართლის 24 ენკენისთვის 1919 წ. დადგენილებაზე ზაქარია და კოტე კასრაძეებთან მამულის ძიების შესახებ საქ. № 81.

აპელაციური საჩივარი ავალ ვასილის ძე ავალიშვილისა ჭარელის უბნის მოსამართლის 26 ივლისის 1919 წ. დადგენილებაზე მათიკო არჩილის ასულ ავალიშვილთან უძრავ და მოძრავ ქონების ძიების შესახებ საქ. № 73.

აპელაციური საჩივარი გიგუცა გელაშვილისა გორის უბნის მოსამართლის 5 ენკენისთვის 1919 წ. დადგენილებაზე ლექსო გელაშვილის მიერ მასთან მამულის ძიების შესახებ საქ. № 19.

აპელაციური საჩივარი სანდრო და გიორგი მალხაზის ძე ბზიშვილების გორის უბნის მოსამართლის 31 ოქტომბრის 1919 წ. დადგენილებაზე რაჟდენ ბზიშვილთან მამულის ძიების შესახებ საქ. № 32.

აპელაციური საჩივარი სანდრო ჩუტკერაშვილისა ყოფ. გორის უბნის მოსამართლის თანაშეწის 21 ივლისის 1913 წ. დადგენილებაზე გიგო სამადაშვილთან მიწის ძიებინ შესახებ საქ. № 114.

20 თებერვალს, 1920.

აპელაციური საჩივარი ირაკლი ივანეს ძე ებადრიშვილისა გომის უბნის მოსამართლის 24 ღვინობისთვის 1919 წ. დადგენილებაზე ნიკა ნინიაშვილის მიერ მასთან მამულის ძიების შესახებ საქ. № 34.

აპელაციური საჩივარი გრიგორ სეროფას ძე ტერპეტროსოვისა გორის უბნის მოსამართლის 4 ნოემბრის 1919 წ. დადგენილებაზე ნიკოლოზ ხუდადოვთან 300 მან. ძიების შესახებ საქ. № 33.

აპელაციური საჩივარი გრიგორ პოხნიცკისა გორის უბნის მოსამართლის 17 სექტემბრის 1919 წ. დადგენილებაზე, ნაფიც ვექილ ლონდაროვის მიერ მასთან 500 მან. ძიების შესახებ. საქ. № 2.

აპელაციური საჩივარი ნიკო ბესარიონის ძე ნოზაძისა გომის უბნის მოსამართლის 23 სექტემბრის 1919 წ. დადგენილებაზე ბრალდებაზე 2 ნაწ. 1483 მუხ. სისჯ. დებ. საქ. № 6.

აპელაციური საჩივარი წყალობა მეზვრიშვილისა გორის უბნის მოსამართლის 18 დეკემბრის 1913 წ. დადგენილებაზე ანდრია კაიშაურთან 143 მან. 34 კაპ. ძიების შესახებ საქ. № 118.

აპელაციური საჩივარი არჩილ ციციშვილისა ყოფ გორის უბნის მოსამართლის თანაშემწის 22 ნოემბრის 1913 წ. დადგენილებაზე მიტრო და სხვ. მარგიშვილებთან 426 მან. ძიების შესახებ საქ. № 119.

21 თებერვალს, 1920წ.

აპელაციური საჩივარი იოსებ ივანეს ძე თუშმალოვისა მეჯვრისხევის უბნის მოსამართლის 4 აგვისტოს 1919 წ. დადგენილებაზე სასამართლოს ბოქაულის ანოხინის უკანონო მოქმედების შესახებ № 75.

აპელაციური საჩივარი ივანე დავითის ძე აბუევისა გორის უბნის მოსამართლის 18 სექტემბრის 1919 წ. დადგენილებაზე ანნა ხუდადოვთან 2400 მან. ძიების შესახებ საქ. № 74.

აპელაციური საჩივარი სანდრო გაბოს ძე ამბრიაშვილისა გორის უბნის მოსამართლის 10 ივლისის 1919 წ. დადგენილებაზე დათა კარჩხაშვილთან მამულის ძიების შესახებ საქ. № 72.

აპელაციური საჩივარი თადაოზ გილაშვილისა სურამის უბნის მოსამართლის 16 ივლისის 1919 წ. დადგენილებაზე ვასილ დონგაძესთან 2400 მან. ძიების შესახებ საქ. № 77.

აპელაციური საჩივარი ნიკოლოზ ალექსისძე ხეჩუაშვილისა ახალქალაქის უბნის მოსამართლის 1 აგვისტოს 1919 წ. დადგენილებაზე ნინო ხეჩუაშვილთან გზის ძიების შესახებ საქ. № 95.

აპელაციური საჩივარი ალექსი ელისბედაშვილისა ახალქალაქის უბნის მოსამართლის 25 ივლისის 1919 წ. დადგენილებაზე იოსებ ელისაბედაშვილთან მამულის ძიების შესახებ საქ. № 78.

სხვა და სხვა

◆ სამხედრო სამინისტროს კულტურულ-განმანათლებელმა სექციამ შეიძინა ეხლად გამოცემული განის წიგნაკი: „რა უნდა იცოდეს ყველამ" 3 000 ცალი, რომლებსაც დაურიგებს ჯარის ნაწილებს ახლო მომავალში.

◆ ბავშვებისათვის კვირა დილით 22 თებერვალს სახ. სახლ. არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენის წრის მიერ წარმოდგენილი იქნება სერვანტესის რომანიდგან გადმოკეთებული „დონ კიხოტი" დასაწყისი დილის 11 საათზედ. ორშაბათს 23 თებერვალს წარმოდგენილი იქნება „ქრისტინე" დასაწყისი საღამოს 7½ საათზედ. ადგილების ფასი სახალხოა.

◆ სოხუმის „ნაშ. სლ." სწერს: შავი ზღვის პირის გუბერნიის გლეხებმა საოცარი გმირობა გამოიჩინეს ტუაპსეს რაიონში ბრძოლის დროს. დენიკინელი აფიცრების კონტრ იერიშს გლეხები მამაცურად იგერიებდნენ. ამბობენ, დენიკინის ბრძანებით არას შემთხვევაში არ უნდა დაეტოვებიათ ტუაპსე. დენიკინი ჰპირდებოდა დამხმარე ძალის მიშველებას. ტუაპსეს ბედი მოხალისეთა ჯარის კაცებმა გადაწყვიტეს—მათ უარი სთქვეს გლეხების წინააღმდეგ ბრძოლაზე. ბრძოლის დაწყებისათანავე მახლობელ სოფლებიდან მოგროვდენ შეიარაღებული გლეხები, რომლებიც აუჯანყდნენ დენიკინს. დენიკინელებმა უწესრიგოთ დაიხიეს. მათ დაედევნენ აჯანყებულები.

◆ 1-ი ქართული საბუხალტერო კურსები ა. გ. საათაშვილისა, დაამთავრეს 1920 წელს თებერვლის 15-ს შემდეგ პირებმა პ. ე. რიჟრიკაძემ, ი. ე. სარჯველაძემ, გ. მ. სარჯველაძემ, კ. კ. უნგიაძემ, დ. ს. მელაძემ, ე. ს. მელაძემ, ი. ი. ვარძელაშვილმა, ა. თერგიშვილის ასულმა და მ. ჯიღაურის ასულმა.

◆ ონის ქალაქის თავი შუამდგომლობს ქალაქთა კავშირის წინაშე, რათა დახმარება აღმოუჩინონ მაზრაში შიმშილის თავიდან ასაცილებლათ დიდი თოვლის გამო მაზრა მოწყვეტილია მთელ რესპუბლიკას. ადგილობრივ კი სურსათი არ მოიპოვება.

◆ გუშინ იტალიის სამოქალაქო მისია ბაქოში გაემგზავრება და იქიდან დაბრუნდება მარტის პირველ რიცხვებში.

◆ დღეს, თებერვლის 22-ს, საღამოს საათის 7-ზე, კავკასიის საარქეოლოგიო ინსტიტუტის ბინაზე, მოხდება საქართველოს საის-

ტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება. კრების საგანია: 1) ს. კაკაბაძის მოხსენება მეთოთხმეტე საუკუნის საქართველოს, მეფეთა ერთ გენეალოგიურ საკითხის შესახებ და 2) ახალი წევრების არჩევა. კრებას, გარეშეთაც შეუძლიანთ დასწრონ.

გაურიავებული ქართველები საქართველოში.

პატივცემული ონის რაბინი ბააზოვი და ახალგაზრდა, ქართველი ებრაელი, მსწავლული იოს. ხანანაშვილის ურთიერთ შორის პოლემიკა და ბაასი სწარმოებს, კარგა ხანია მას შემდეგ გასული, რაც ესენი კამათობენ ქართულ გაზეთებში, ამათი წერილები იბეჭდებოდა რიგგრიც ტფილისის ქართულ გაზეთებში, ისევე ქუთაისის გაზეთებშიც. სდგანი ამათი კამათისა არის შემდეგი:

რაბინი ბააზოვი ბრძანებს :—რაც საქართველოში ქართველი ებრაელები სცხოვრობენ, იგინი სულ ებრაელთა შთამომავალნი არიანო.

იოს. ხანანაშვილი ამბობს: საქართველოში რაც ებრაელები სცხოვრობენ, მათში ხუთვარზე მეტი ისეთი ურიებიც არიან, რომელნიც შთამომავლობით ქართველები არიან, ებოლოდ ოდესმე, ყმათა ვითარებიდან ისრაელთა, ანუ მოსეს სჯული მიღებითო.

ამ პირთა პოლემიკის დედა აზრები, როგორც გამოირკვა ამ ბოლო დროს, შემდეგი გარკმევა ყოფილა.

პატივცემული რაბინი ბააზოვი საქართველოს ურიებს მიტომ აკუთვნებს ებრაელთა ტომს, ვინაიდან იგი თურმე სიონისტი ყოფილა, ამ პირს თურმე სურვილი აქვს, რომ ასეთის მოსაზრებით და კამათით ქართველი ურიებში აღძრას ნაციონალური თვით-შეგნება და ამ სახით საფუძველი დაუდოს ურიების ნაციონალურად გაღვიძებას, რაც მერე ხელს შეუწყობს და გაიდვილებს იმ რთულს პირობებს და გადასახლების საქმეს, ოდესმე თუ საქართველოში, ურიებთა შორის გამოჩნდნენ ბააზოვის მიმდევარი სიონისტები და არა თუ მოიწიდონ ქართველი ურიების გადასახლება ურიასტანში.

პატივცემულ რაბინის ბააზოვის პოლემიკის დედა აზრები ეს ყოფილა. ამის საბუთებად გამოიჭვრიტება ბააზოვს ნაწერებიო. მე ამათი პოლემიკისგან განმარტოებული ვარ, ჩვენ პატივს ვცემთ როგორც პატივცემულ რაბინს ბააზოვს, ისევე ახალგაზრდა მეწავლულს იოს. ხანანაშვილს. ამიტომ ვალად ვსთვლით, რომ აქ მივაყვანოთ იოს. ხანანაშვილის მწერლობის დედა აზრებიც, ეს სწერს რაბინის ბააზოვის საპასუხოთ შემდეგს:

არაო, რაც საქართველოში, ქართველთ შორის, ქართველი ურიები სცხოვრობენ, მათში ხუთვარზედ მეტი ქართველთ შთამომავალნი არიან და არა ყველა ურიების ტომისანიო. ქართველთ შორის როგორც არსებობენ ქართველი მაჰმადიანები, ქართველი კათოლიკენი, და ქართველი გრიგორიანები, ისევე არსებობენ ქართველი ებრაელნიცაო, რომელნიც ტომით ქართველები არიან, მათ ოდესმე მხოლოთ ურიის, ანუ მოსეს სჯული მიუღიათო.

ამის მაგალითებს იოს. ხანანაშვილი ჰპოვებს ჩვენს ისტორიაშიც, რაც მოყვანილი აქვს პატრს მიხეილ თამარაშვილს თავის „ქართველ კათოლიკეთა ისტორიაში“, აი ეს ისტორიული ცნობაც:

პატრს მიხეილ თამარაშვილს, რომის არქივიდან მიჰყავს შემდეგი ცნობა, რომ XVII საუკუნის ხახვევარს, სურიაში, ერთ ქართველ კაცს, ებრაელთა რაბინის მეცადინეობით მიუღია ურიული სჯული.

იოს. ხანანაშვილის ცნება ეს არის, ქართველთ შორის, XVII საუკუნეში თუ ეს ერთი მაგალითი მოხდა, უეჭველია ქართველთ შორის სხვა დროსაც მოხდებობა ასეთი მაგალითებიო.

რადგანაც ჩვენ ავხსენით პატივცემულ რაბინის ბააზოვის იდეიის პრაპაგანდის საიდუმლოება, ახლა ვალათ ვსთვლით, რომ მოკლეთ ავხსნათ იოს. ხანანაშვილის ხუთვარზედ მეტი ქართველი ებრაელნი, დასტურ მოლეთ ნამდვილ ურიების შთამომავალნი არიანო, მაინც ვუხუხდებით ამისი მათ სიონისტების ბინდევრობა და ურიასტანში გადასახლება ხელის არ ხლისგმო, რადგანაც საქართველოდან ყურა და გადასახლება იქნება მათი ცხოვრების ბოშლა და დღუპვა.

ამ გარემოების საჩუქლათ ვდება და ეყრდნობა ის ისტორიული პირობებიც, რომ ურიები საქართველოში სცხოვრობენ უხსოვრის დროდან, მათი ბინადრობა საქართველოში ყოველთვის ყოფილა უვნებელი და შეწოფარგლული მშვიდობიანის წესებით და პირობებით, რასაც ყოველთვის ქართველი ერი და მათი მთავრობაც მფარველობდაო.

ქართველ სამეფოსაგან ებრაელნი საქართველოში ყოველთვის დაფასებულნი და თავისუფალნი იყვნენო, იმ დროსაც კი, როცა ურიები ევროპაში სხვა და სხვა ქრისტიანებისაგან დიდს დევნას და შეგვწროებას განიცდიდენ, თვით რუსეთში დღეაც დიდს ტანჯვას, ხოცვას და აოხრებას არიან მიცემული და საქართველოში კი ქართველ ებრაელებს ასეთი არასფერი უნახავთო.

ამიტომ ასეთი ქვეყნიდან, როგორიც ურიებისთვის არის საქართველო, ეყრა და გადასახლება იქნება დიდი უბედურება და ამიტომ სიონისტებმაც ამის ქადაგებას თავი უნდა გაანებონ. იოს. ხანანაშვილი სწერს კ დევ:

ქართველნი ისრაელნი საქართველოს, ქართულ ენის და ქართველ ერს ისე შესისხლხორცებიან, ესენი ისე დაახლოვებია ქართველობას, რომ მათი აყრა საქართველოდან და მოშორება იქნება დიდი დანაშაული და მათი ოხლობა, ვინაიდგან ესენი სხვაგან და გინდ ურიასტანშიც დიდს ძალს ოხლობას და უბედურებას გამოსცდიანო.

ეხლა პატივცემულ რაბინის და იოს. ხანანაშვილის საგულისხმოთ ჩვენ მივაყვანთ შემდეგ ცნობებს, რაც იმედია, რომ არ დაჩება უხსნიშველოთ.

სიონისტების ქადაგება, საქართველოს ურიებში რაბინ ბააზოვზედ წინეთ იქნა დაწყობილი. ამ ქადაგებით სიონისტებმა აიყოლიეს ცხინვალის ქართველი ურიები, იქიდან რამდენიმე ქართველი ურიები აიყარნენ და იერუსალიმში გადასახლდენ, ამათ თურმე ოქროს და ვერცხლის ფულები თან პარკებით და ტომრებით წაღებ, მდიდრები იყვენ თურმე.

გადასახლებულთ ურიებს უცხოეთში საქმე თურმე სულ ცუდათ წაუვლათ, სიმდიდრე ხელიდან ხალვერყოთ სულ და ბოლოს სიღატაკეშიც ჩაცვენ ლეყვნენ. ერთი ამ გაღატაკებულ ურიათ განი საქართველოში დაბრუნდა, იგი მე ვნახე ცხინვალის თემის გამომძებნელ ნიკ. ხიზანაშვილთან, და ეს გაღატაკებული ურია წყევლით მოიგონებდა იმ პირებს ვინც იგინი გააბრყვინეს და გადასახლეს საქართველოდანა.

ამ გარემოების შესახებ იმავ დროს, ნიკ. ხიზანაშვილმა, მიწერილობაში ურჩნელის სახელოთ ცნობილმა გაზ. „ივერიაში“ ორი წერილი დაბეჭდა სიონისტების შეუფერებელი მოქმედებაც აღნუსხა. სამწუხაროთ, ეხლა მე აღარ მახსოვს „ივერიის“ ნომრები, თორემ ამასაც დავასახელებდით აქ.

ეს გარემოება პატივცემულ რაბინს ბააზოვსაც ეცოდინება, რადგანაც როგორც გავიგეთ, თვით ბააზოვიც ცხინვალელი ყოფილა და აქვს დაბადებულ გაზრდილი. უეჭველია ბააზოვს უკეთ ეცოდინება ეს ამბები და ამიტომ ჩვენი სჯა აქ საჭირო არ გახლავსთ. რაც შეეხება ქართველის ტომის ურიის სჯულის არსებობას საქართველოში, ვალათ ვსთვლი, რომ აქ მოვიყვანო შემდეგი, რაც ჩემ მიერ ქართველ ისრაელთა ისტორიაში უყურადღებოთ იქნა დატოვებული, ვინაიდგან ბაშიხ მე ამ გარემოებას ღრმათ არ დავაკვირდი და ჩემს წიგნში არასფერი დავწერე, რომელი წიგნიც, სახელდობრ „ქართველ ისრაელთა ისტორია“ 1904 წ. ცალკეც დავბეჭდეთ.

საქმე აი რაში გახლავსთ.

„ქართლის ცხოვრების“ პირველ წიგნში, რომელიც მე გამოვეცი მეორეთ 1898 წ. სამ წიგნით, პირველ წიგნში მოხსენებულნი არიან ხალხნი „მოსეს სჯულის თანამდებნი“. ეს ხალხი მე მაშინ ვერ გავარჩიე, იგინი ურიები მეგონენ. ამიტომაც მე ეს სახელი კი არ ვიხმარე, არამედ ურიები, ანუ ისრაელნი, რასაც „ქართლის ცხოვრება“ უფრო ხშირათ ახსენებს.

ამ ბოლოს დროს, მეცრის ძიების შემდეგ გამოირკვა ცხადათ, რომ „მცოხრეს სჯულის თანამდებნი“ ბევრნი ყოფილან ის ქართველები, რომელთაც ქრისტეს სჯულის შემოტანამდე წინეთ, მათ მოსეს სჯული უცვნიათ ურიებისაგან, იგინი ამ სჯულის თანამდევარნი გაჭდარან და ამიტომ ამ ქართველთაც სწოდებიათ „მოსეს სჯულის თანამდებნი“. ამიტომ ვალათ ვთვლი გამოვაცხადო ეხლა, რომ მოსეს სჯულის თანამდებნი არიან ის ქართველები, რომელთაც ქრისტეს სჯულის მიღების წინეთ, მათ იცნეს მოსეს სჯულის დებდება და მათ მისი სჯულიც იწამეს. ამ გვარათ „ქართლის ცხოვრების“ თქმით საქართველოში ძველთგანვე ყოფილან ისეთი ქართველები, რომელნიც ტომით ქართველები ყოფილან, სჯული კი ურიების სჭერიათ და ამიტომ მათთვის „მოსეს სჯულის თანამდებნიც“ უწოდებიათ.

ქართველებს ურიების სჯულის მიღებასაც არავინ დაუშლიდა, რადგანაც საქართველოში, ქართველთ შორის, ხოსეს „დაბადება“ და „ფსალმუნი“ დავითისა ქრისტეს სჯულის მიღებამდე ყოფილა უკვე კარგათ გავრცელებული, რასაც თურმე ქართველები მოწიწებით ეპყრობოდენ და პატივს სცემდენ.

ს. ჯ.

სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების სხდომაში 1920 წელს 23 თებერვალს საკასაციო წესით განსახილველად დანიშნულ საქმეთა ნუსხა:

(სხდომის გახსნა დილის 10 საათზე).

1. საქმე ნიკოლოზ ნაცვალოვის ივანე, ეკატერინე და ელენა ნაცვალოვებთან მამულის საკუთრების თაობაზე.

2. საქმე ეკატერინე ლენჩევსკისა ვალენტინ ნეჩაპოროვ ჩინ და ფელომანა პეტკოვ ჩისთან ბინის განთავისუფლების თაობაზე.

3. საქმე ოსკარ ზელის ვალენტინ ნოვოხანტთან ბინის განთავისუფლების და ჯარიმის 485 მან. თაობაზე.

4. საქმე ლუკა და სამსონ ტყეშელაშვილებისა ფეოდოსია ტყეშელაშვილებთან მამულის თაობაზე.

5. საქმე იაკობ ასლანოვისა ანნა ვალტერთან 624 მან. 98 კაპ. თაობაზე.

სასამართლოს მაჩვენებელი.

საქართველოს სენატის სისხლის სამართლის დეპარტამენტში მოსასმენად დანიშნული საქმეებისა.

1920 წ. თებერვლის 26 ქ. ტფილისში დილის 10 საათზე.

1. საქმე № 24. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ იასონ ბიჭიას ძის მწყურაშვილისა ტფილისის სასამართლო პალატის განაჩენზე ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული 2 და 3 ნაწ. 1455 მუხ. სასჯ. დებ.

2. საქმე № 55. საკასაციო საჩივრები ბრალდებულთ ალექსანდრე დიასამიძის და ალექსი თურქიაშვილისა ტფილისის დროებით სამგანგების სასამართლოს განაჩენზე. ბრალდებათა დანაშაული, გათვალისწინებული 42 მუხ. 31 იანვრის კან.

3. საქმე № 57. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ ბუხუტი მანუჩარის ძის სურმავას დამცველის ნაფ. ვეჭ. კაპანაძისა ქუთაისის სამგანკებო სასამართლოს განაჩენზე. ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული 1630, 1632 მ. მ. სისჯ. დებ.

4. საქმე № 7. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ ოლღა ჯღარკავასი სოხუმის ოლქის ძოძრავებელ მოსამართლეთა ყრილობის განაჩენზე. ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული ს. დ. 134 მუხ.

წერილები რედ. მიმართ

ბ ნო რედაქტორო!

ამმასთანავე გაახლებთ 1.050 მან. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ ასოთა ამწყობთა და მბეჭდავთა შორის შეკრებელს მიწის ძვრის გამო გორში დაზარალებულთა და დასახიჩრებულთა სასარგებლოთ, შემოსწირეს: ვ. ინწკირველმა—100 მ., ნ. გოგეშვილმა—100 მ., ა. ბერიძემ—100 მ., პ. ჭელიძემ—100 მ., გ. ბუ პულაძემ—100 მ., ვ. ახალკაციშვილმა—100 მ., ა. შარაძემ—100 მ., ე. სონღულაშვილმა—50 მ., ნ. კუკულაძემ—50 მ., ი. მელიქოვმა—50 მ., ა. ვადაჭკორიამ—100 მ., ე. მეგრელაძემ—100 მან. სულ—1.050 მან.

ფული გადაეცემა მთავარ კომიტეტს. რედ.

—

სანდრო მაისურაძის სახელობის სამკითხველოს გამგეობა ულმობს მადლობას უძღვნის დამფუძნებელ კრების წევრს მეხრან ხოშტარიას, რომელმაც ხსენებულ სამკითხველოს შემოსწირა 1213 მანეთი.

გამგეობა.

P. S. მთავარი სამკითხველო ღიაა დილის 10 საათიდან 1 საათამდე, ხოლო განყოფილება (მუშათა კლუბში) საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე. გამგეობა.

განცხადება

ქ. ტფილისის მე 12 სამომრიგ. უბნის ბოქაული ძამიევი აცხადებს, რომ 1920 წ. თებერვლის 28 ს, დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ალექსანდრა კალინინას მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს სახლის ავეჯეულობას. ქონება იყიდება მარიამ კალიხინას პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ და შეფასებულია 3200 მ. ვაჭრობა დანიშნულია ქ. ტფ. მე-22 უბ. სურფკარაპ. ქუჩაზე, № 3. 302

რესპუბლიკის საპყრობილეთა ინსპექცია ამით აცხადებს, რომ 22 ამა თებერვალს, დღით კვირას, 12 საათზე ტფილისის № 1 საპყრობილეში (ორთჭალაში) დანიშნულია საჯაროდ გაყიდვა ნაცამი ტანთსაცმელის: ბლუზების, პერანგების, ფუფაიკების, ჟილეტების, ახალუხების, ჩოხების, პალტოების, შარვლების, საბნების, ლეიბების პრაახოცების, შინელების, ბაშლყების, და სხვ. ინვენტარის მსურველთ შეუძლიანთ დანიშნულ საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება.

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მმართველობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ა. წ. 27 თებერვალს დილის 10 საათიდან, ტფილისის ცენტრალურ საწყობში გაიყიდება გაუტანელი ტვირთი (ბაგეჟი): საჩხეროდან-ქუთაისი № 15004—2 ც წონ.—7 ფ. 15 გ აბაშიდან—ქუთაისი № 42673—1 ც.—1 ფ. 25 გ. ახალი სენაკიდან—ქუთაისი № 66794—1 ც—3 ფ. 20 გ. ბათომიდან-სანაინი № 23331—1 ც—1 ფ. 15 გ. ქვალონიდან—ტფილისი № 8062—1 ც.—1 ფ. 10 გ. ნოტანებიდან—ტფილისი № 57357—2 ც.—15 გ.—ლანჩხუთიდან—ტფილისი № 10925—1 ც. 1 ფ. 12 გ. ბორჯომიდან—ტფილისი № 57007—1 ც.—25 გ. ბორჯომიდან—ტფილისი № 57222—1 ც.—25 გ. ბორჯომიდან—ტფილისი № 56891—1 ც. 1 ფ. ნიგოითიდან—ტფილისი № 7645—1 ც—1 ფ. 30 გ. ბორჯომიდან—ტფილისი № 57011—1 ც.—17 გ. ნოტანებიდან—ახალ. № 1210—1 ც. 20 გ. კასნიდან—ტფილისი № 15641—1 ც. 2 ფ. 30 გ.

ხელთ-სატარებელი შესანახთა ოთახიდან: ქვითანკირით სადგ. ტფილისი № 18285—3 ც. ცარიელი ბოჭკები (ხის და რკინის) 10 ფ. ქვითან. № 1329—2 ც. სთანოკი—3 ფ. 35 გ. ქვითან. № 9136—2 ც. ცარიელი ბოჭკები რკინის და ხის) 4 ფ. 4 გ. ქვით. № 15440—1 ც. 3 ფ. 35 გ.

უსაბუთო ბაგეჟი: აქტ. სად. ტფილისი № 38—1 ც. 15 გ. აქტით № 58—1 ც. 3 გ. 220 3—2

არშაკ პოღოსის ძე მინასიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საქართველოს რკინის გზის სხვა და სხვა გადასახადების კვიტანციები №№ 72534, 72530, 72514, 72509, 72499 და 72519, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვლოს. 287 3 2

შრომის სამინისტრო

ამით წინადადებას აძლევს მათ ვინც განზრახ თუ შემთხვევით მიღო სასურსათო ბარათი, იმაზე მეტი რაც ეკუთნოდა,

დააბრუნოს უკან მეტი ბარათები 25 თებერვლამდე.

ვინც ამ ვადამდე არ დააბრუნებს, დაკარგავს უფლებას მიიღოს სურსათი მომარაგების ფონდიდან და გარდა ამისა პასუხ გებაშიც იქნება მიცემული. მათი გვარები გამოქვეყნებული იქნება. 229 2—2

ქონების ცვეცხლიდან საურთიერთო

დამზღვევი ტფილისის საზოგადოების გამგეობა

აუწყებს ბ. ბ. წევრებს, რომ კვირას, თებერვლის 29 ს, დღის 11 საათზე, საზოგადოების ბინაზე (ლერმ. და გიორგ. ქ. კუთხე № 10) დანიშნულია

საზოგადო კრება

განსახილველი საგნები: 1. გამგეობის 1919 წ. ანგარიშ. 2. 1920 წ. ხარჯთაღრიცხვა. 3. მიმდინარე საკითხები. 4. არჩევნები საზოგადოების ადმინისტრაციის თანამდებობის პირთა. თუ აღნიშნული საზოგადო კრება არ შესდგა დამზღვევთა დაუსწრებლობის გამო, მის მაგიერ ახალი მოწვეული იქნება ამავ წლის აპრილის 14 ს, რომელიც კანონიერათ ჩაითვლება, მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა. 226 1—1